



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 24  
26/06/2020

24-09-4-202006261712



**ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, რომ მოქალაქე მკაცრ ნაცვლიშვილს გაუგრძელოს ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე (დასავლეთის მხარე) მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.20.31.364) შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების (საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შესვლა) შესრულების ვადა 2 (ორი) წლით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

